

შ ი ნ ა ა რ ს ი:

1. „შობის დღესასწაული“ და ახალი ყოფა-ცხოვრება —პ. ქ—ეს	23
2. ზამთარი—ლეკსი—კ. ლორთქიფანიძის	2
3. სილვერი—ე. ზოდას	3
4. „მაინც ბრუნავს!“ —მ. ფრიჩე	4
5. პიონერი კომკავშირელი—ნოვინ	9
6. პიონერის სწავლა—ვ. ტ.	13
7. ჩენი ძმები მსოფლიოში	14
8. ს. ს. რ. კ. პიონერების ცხოვრება და მუშაობა	15
9. სიცოცხლის წარმოშობა დედამიწაზე—კ. ლეოს	17
10. რა უნდა წავიკითხოთ?	18
11. ბავშთა შემოქმედება	21
12. გასართობი	23
13. თამაშობა—მ. გორგაძის	24

329.15 5 (05)

3-47.



მუშათა კლასის საქმიანების ცენტრი

პიუნეტი

1926

30 დეკემბერი

განათლების სახალხო კომისარიატის სოციალური აღზრდის მთავარმართველობის და საქართველოს შ. კ. თ. ცენტრალური მითრის (საქ. ა. ლ. კომპარტიის ცენტრთან) შერჩეული მანერებისათვის

წელიწადი I

№ 6



571.

ინგლისელი მადაროს მუშების ბავშვები, რომლებიც მამებიც რომოდენიმე თვის განმავლობაში გაფიცული ყვერ, ვინიდან კაპიტალისტებმა მათი სამუშაო დროს გადიდებდა და ხელფასის შემცირება მოინდომეს. თავისი ბელადების ღალატის გამო მუშები იძულებული გახდნენ შეეწყვიტათ გაფიცვა.



„შოგის დღესასწაული“ და ახალი უოფა-ცხოვრება.

მრავალი საუკუნის განმავლობაში ხალხი უქჷობა-და „შობის დღესასწაულს“, რომელიც თითქოს დაკავშირებულია იესო ქრისტეს დაბადებასთან. ეს დღე იყო 25 დეკემბერი. ყოველწლიურად ამ დღეს ეკლესია უნერგავდა ხალხს იმ აზრს, თითქოს 25 დეკემბერს იშვა იესო ქრისტე.

ეკლესიის მსახურნი—მღვდლები და სხვანი—ამ დღესასწაულის საშუალებით თაღის უხვევდენ ხალხს, უქადაგებდენ ხელისუფლებისა და გაბატონებული კლასისადმი მორჩილებას.

იესო ქრისტეს მომღვრება გახდა ხალხის გაცულების იარაღი.

მაგრამ პროლეტარულმა რევოლუციამ ძირიან-ფესვიანად შესცვალა ქვეყანა. მშრომელი ხალხი აღსდგა და ოქტომბერში დაამხო გაბატონებული კლასების ხელისუფლება. დაიშვა და დაქარაგმნიშვნელობა ჩავარის ერთ-ერთმა იარაღმა—რელიგიამ. პროლეტარულმა სახელმწიფომ, საბჭოთა ხელისუფლებამ რელიგია კრძო საქმედ გამოაცხადა მაგრამ, რომ ხალხს ისევ არ სწამაოდენ, არ ატყუებდენ მღვდლები, პროლეტარიატის აწინგარდი, მოწინავე რაზმი, ატარებს ანტირელიგიურ (ე. ი. რელიგიის წინააღმდეგ) პროპაგანდას. ჩვენ ვცდლობთ, რომ შევავნებინოთ ხალხს რელიგიის სიფუქსიეტი, შევავნებინოთ, რომ რელიგია არ სჭირდება მას. რელიგია არ აძლევდა ხალხს ქვეყნის და ცხოვრების ნამდვილ მეცნიერულ ახსნა განმარტებას, კომუნისტები აძლევენ ხალხს ასეთ მეცნიერულ ახსნა-განმარტებას.

ძველ შობას, ძველ რელიგიურ უქმეებს ჩვენ დაფუზარდაბირეთ ჩვენი ახალი, პროლეტარული, მშრომელთა მასების უქმეები. ჩვენი უქმეებია შრომისა და ბრძოლის უქმეები. ჩვენ ვუქმობთ არა რომელიმე სახლპრო ღმერთის ან წმინდანის დაბადება-სიკვდილის დღეს, არამედ რევოლუციის წლისთავს, შრომის დღესასწაულს—პირველ მაისს, საქართველოს გასაბჭოების წლისთავს და სხვას.

პიონერი თუკი იგი ცხოვრობს მორწმუნე ძველმეტი ოჯახში, აგიტაციას უნდა ეწყოდეს თავის ოჯახშიაც ახალი დღესასწაულებისა და ახალი ზნეჩვეულებების სისარგებლოდ. პიონერმა ფრთხილად, მაგრამ გულდასმით უნდა იმუშაოს ოჯახში: შეეცადოს აღდგომა-შობის მაგიერ პირველი მაისი, ოქტომბრის დღე და სხვა რევოლუციონერული დღესასწაული აუქმებინოს.

პიონერი აგრეთვე უნდა მუშაობდეს სკოლაში, სადაც იგი სწავლობს. არაპიონერ ახალგაზრდობას მან უნდა გადასცეს რელიგიის შესახებ, ახალ ზნეჩვეულებათა შესახებ ის, რაც მან იცის.

რა არის მთავარი ახალ ზნეჩვეულებებში? რით განსხვავდება იგი ძველისგან?

ძველად ახალგაზრდობას ზრდიდენ, ასე ვთქვათ, „უპარტიოებდა“, სასულიერო წოდებას და მის სკოლას არ უნდადა, რომ ბავშვს შეესწავლათ ცხოვრების სინამდვილე, არ უნდადა, რომ ბავშვები ჩამბულიყვენ ცხოვრებაში. „რა შერი საქმეა, რა ბავშის საქმეა ესაო“—იტყოდენ ხოლმე ისინი, როცა ბავში თავისი ბედის გადაქარაში ან სერიოზულ საკითხებში მონაწილეობის მიღებას მონდომებდა.

დღეს ჩვენ ვამბობთ: ახალგაზრდა უნდა აღიზარდოს ისე, რომ, როცა იგი გაიზრდება, მზად იყოს ცხოვრებისთვის, მზად იყოს საშუალო, მზად იყოს გადაიტანოს ყოველგვარი სიძნელე. ჩვენ უნდა მოვემზადოთ ბრძოლისა და შემოქმედებისათვის.

მაგრამ ასეთ აღზრდაში გადაქარებებს არ უნდა ჰქონდეს ადგილი. არ უნდა დაევიწყოთ, რომ ბავშვის ბუნება ითხოვს თამაშს, გართობას, ითხოვს მხატვრო, თავისუფალ აღზრდას. უნდა შევძლოთ სერიოზული აღზრდა ბავშური ბუნებისადმი უდიდესი ანგარიშის გაწეით.

უაზრო გართობა, ფულით ქაზაზე თამაში, უსაქმოდ ხეტიალი უნდა შეეცალოთ ფიკულტურატანვარჯიშობით, გასაგები მეცნიერული მუშაობით, გონიერი თამაშით, მიზანშეწონილი მეცნიერულ მხატვრული ექსტრასია-სერიოზობით და, რაიც მთავარია, მხატვრულ-ლიტერატურული აღზრდით. ბავშვებმა, პიონერებმა, მოზარდებმა უნდა შეიგონონ, რომ მთავარი მათი „გასართობი“, სასარგებლო და თან საინტერესო არის ლექსები, მოთხრობები, პიესები, დრამურები და სხვ. ჩვენი პიონერები უნდა შეეჩვიონ საბავშვო მწერლობის კითხვას, და თვით პიონერებმა უნდა სინჯონ საბავშვო ლექსების, მოთხრობების, კორესპოდენციების წერა.

ამ მიზნების შესრულებას უნდა ემსახურებოდეს ჩვენი ანტირელიგიური პროპაგანდა. ამ დღებში ჩვენ თავი უნდა მოვეყაროთ ჩვენ გამოკლებებებს, ჯამი უნდა გავუეთოთ მას, შევასწოროთ შეცთოდების და დავისაზოთ ახალი ამოცანები. ყოველი პიონერი ამ დღეს უნდა შეეკითხოს თავის თავს, თუ რა შეიძინა, კარგი რა გააკეთა, რა არ შეიძინა და



III. აჯანყებულთა რიგებში.

ღამის 11 სათი იყო, როცა აჯანყებულები რომის ალყა ფს კართი ქალაქში შევიდნენ. ჰოსანაში დარჩენილმა მუსუბმა გაულდეს მათ ალყაფის კარები, მიუზღავეა და დარაჯის ხეფნა-მუდარისა და წინააღმდეგობისა. ეს ერთგული მსახური ბოლოს მოღმა იმოღენა ბრბოს წინაშე, თუმც მჩვეული იყო ხალხის სათითაოდ შეშვებას და ისიც ბეჯითი განხრეკის შედეგად. დიდხანს ბუზლუნებდა, რომ მას უბატობა მიაციენეს ამით.

რაზმს ისევ ჰოსანელები მიუძლოდენ, უკან კი დანარჩენები მისდევდენ.

მიეტა, რომელსაც სიღვირი მარცხნივ ედვა, წინა რიგში იყო. მის უფრო ამაყად ეჭირა დროშა, როგორც კი იგრძნო, რომ დახურული ფანჯრებიდან მას უცხად გაღვიძებული და შემწინებული ბურთები უყურებდენ.

აჯანყებულებმა ნელა და ფრთხილად გაიარეს რომის და ბანის ქუჩები; თვითველ ჯვარედინზე თოფის სროლას ელოდნენ, თუმც იცოდნენ მოსახლეობის მშვიდი ხასიათი.

ქალაქში სასაფლაოს მავგარი სიჩუმე იყო დამყარებული; ფანჯრებიდან ოდნევი ყრუ ხმაურობა ისმოდა. სულ ხუთი-ექვსი ფანჯარა გაიღო და რამდენიმე მოხელე მეფახზე გამოჩნდა, ხელში სანთლით. ისინი წელში იხრებოდნენ, რომ უკეთესად გაეგრძობათ, მაგრამ, როგორც კი დაინახავენ მაღალ, წითლით მოსილ ქალიშვილს, იმ წამს ფანჯრებს კეტებდნენ, თითქოს ეშმაკთა შემოსევას შეეშინებინათ.

ძილით მოცული ქალაქის მყუდროებამ აჯანყებულნი დაამშვიდა მათ გაიარეს ძველი უბნის ქუჩები და მალე მიადწიეს ბაზრის და რატუსის¹⁾ მოედნებს, რომლებიც ერთმანეთთან მოკლე და განიერი ქუჩით იყვნენ შეერთებული.

ორივე მოედანი, გარშემო წვრილი ხეებითა შემოშრქრიებული, მთვარის კაშკაშა სინათლით იყო განათებული. მოქალაქეთა სამსჯავროს შენობა, ახლახან გაახლებული, დიდ ყვითელ ლაქსავით მოსჩანდა ნათელი ცის განაპირზე; ქვემო სართულის რკინის აივანი წვრილი, შავი ხაზებით წამოწეულიყო.

ცხადად ირჩეოდა აივანზე რამდენიმე კაცი: მერი²⁾, მაიორი სიკარღო, ქალაქის სამი თუ ოთხი მჩვეული და სხვა მოხელეები. ქვემოთ კარები დაკეტილი იყო. სამთათსი რესპუბლიკელი, რომელთაც ორივე მოედანი გააყეს, შედგენ და ზვეით აიხედეს, მზად იყვნენ კარები შეენგრიათ.

აჯანყებულთა რაზმის ასე დაგვიანებული მოსვლა ქალაქის ხელისუფლებისათვის მოულოდნელი იყო. როცა რომის კარის დარაჯმა, აჯანყებულთა მიერ განათვისუფლებულმა, აცნობა მათ, აჯანყებულნი ქალაქში შემოვიდნო, მაიორმა მხოლოდ 20 ნაციონალურ გვარდიელის შეკრება მოასწრო. ვერ მოასწრო ჯანდაბამების გაფრთხილებაც კი, რომელთა ყაზარმებნი იქვე ახლას იყო. მხოლოდ ილაყაფის კარის დაკეტვა მოასწრეს და ბჭობა დაიწყეს.

¹⁾ მერი—ქალაქის თავი.
²⁾ მოქალაქეთა სამსჯავროს ევროპაში რატუსის უწოდებენ, მთარგმ.



ხუთი წამის შემდეგ ყრუ და ხანგრძლივმა ხმაურმა ამცნო მათ რაზმის მოახლოება.

პლასანის მერს, გარსონეს, ეზიზღებოდა რა რესპუბლიკელები, ჯერ ძლიერი წინააღმდეგობის გაწევა სურდა; მაგრამ იგი ფრთხილი კაცი იყო და კარგად ესმოდა ბრძოლის შეუძლებლობა: მის განკარგულებაში მხოლოდ რამდენიმე კაცი იყო. კამათი დიდხანს არ გავრცელდებულა. არ სთანხმდებოდა მხოლოდ ერთი სიკარღო, მას ბრძოლა უნდოდა და არწმუნებდა თავის ამხანაგებს, 20

კაცი საჭმარისია მ ახასი ავაზაის გამოსაფიზღებლადო. გარსონემ მხარები შეიმუშვნა და განაცხადა, უნდა დაეგმდეთ საბატო პირობებითო, ვინაიდან ბრბოს ხმაური იზრდებოდა, იგი აიენზე გამოვიდა და სხვებიც უკან გამოჰყენენ. როგორც იყო, ისწყნარე ჩამოვარდა. ქვემოდა, აჯანყებულთა მღელვარე შავს მასაში, თოფები და ცულები პრიალებდა.

— ვინა ხართ და რა გინდათ? — გადაჰყვირა ხმამალა მერმა.

ბრბოდან გამოვიდა ერთი კაცი.

— გააღეთ კარი, — უთხრა მან პასუხის მაგიერ.

— ძმითა შორის ბრძოლამდე ნუ მიიყვანთ საქმეს.

— მე მოვითხოვ, რომ თქვენ დაიშალოთ, — უპასუხა მერმა. კანონის სახელით პროტესტს ვაცხადებ. ამ სიტყვებმა ბრბოში დაიპყრებელი ხმაური გამოიწვია. როცა ხმაური შესწყდა, გაისმა ბრაზიანი ხმები:

— ჩვენც კანონის სახელით მოვედით.

— თქვენ მოვალე ხართ პატივი სცეთ სახელმწიფოს ძირითად კანონებს, ურცხვად დარღვეულს კონსტიტუციას.

— გაუმარჯოს კონსტიტუციას! გაუმარჯოს რესპუბლიკას!

მაგრამ, ვინაიდან გარსონეს სწაღდა, რომ მისთვის მოესმინათ, როგორც მოვალეობის აღმასრულებელისათვის, ენერგიულად შეაწყვეტინენ.

— თქვენ და მხოლოდ ძალა-უფლების მოხელე ხართ; ჩვენ გადავყავით.

აქამდის მიიზრი სიკარღო უღვაშებს იკვნეტდა და მხოლოდ ყრუ წყევლა-კრულვას ბუტბუტებდა. იგი მოთმინებიდან გამოდიოდა ჯიხვისა და ცულების ცქერით და საშინელ ძალას ატანდა თავის თავს, რომ ამ სისაცილო „ჯარისკაცებს“ არ გასწო-

რებოდა, რომელთა რიგებში ზეერს თოფი არც კი ჰქონდა. მაგრამ, როცა ვიგო, რომ ვილაც უბრალო პალატონაკმული ვაჭბატონი სცელის მერს, ამ წმინდა გემს, ევლარ მოითმინა და დაიყვირა:

— ოჰ, საძაგუნო! მხოლოდ თითხ ჯარისკაცი რომ მყავდეს, ჩამოვიდოდი და ყურბებს დაგავლეჯდიო, რათა პიტვიტყვა მამეკონებინა თქვეთვის. ეს სიტყვები საჭმარისი იყო, რომ მეტად საშინელი შედეგები გამოეწვია:



ვინა ხართ და რა გინდათ? — გადაჰყვირა ხმამალა მერმა.

ბრბოში საშინელი ყვირილი გაისმა და სამეროს კარებს ეცენ.

შემწებელი გარსონე აჩქარებით წავიდა აიენიდან და თან მიიარ სიკარღოს ემუღარებოდა გონიერად მოქცეულიყო, თუ სიკვდილი არ უხდოდა.

ორ წამში კარები გამოანგრეს, ხალხი დაეფულა სამეროს და იირიდი აჰყარეს ნაციონალურ გვარიღელებს.

მერი და ყველა იქ მყოფი მოხელეები დაატუსაღეს. როცა რატუმა უკვე რესპუბლიკელების ხელს იყო, დატუსაღებულები ბაზრის მოედანზე პატარა რესტორანში დააწყვედიეს და ყარაული მიუჭინეს.

აჯანყებულთ არმიას შეეძლო პლასანში არ შესულიყო, მაგრამ უფროსებმა გადასწყვიტეს ხალხის ცოცხა დასვენება-დანაყრება. იმის მაგიერ, რომ რაზმი პირდაპირ მთავარი თავსაყელი დვილისკენ წასულიყო, გამოუცდლობისა და უფროსის მიუტყვებელი სისუსტის გამო, შორს შემოუარა მარცხნივ და ამით დიდუბა თავისი თავი. ისინი ხენტრურის მალღობებისკენ გაეშურენ, პლასანიდან 12 მილ-



ზე¹), მაგრამ ვიდრე ამას გაივლიდნენ, ქალაქში შესვლა გარდაწყვიტეს, მიტეხილად იმისა, რომ დაახლოვებით თორმეტის ნახევარი იყო.

როცა გარსონემ გაიგო, რომ რაზმს საცები სჭირდებოდა, დაპირდა შოენას.

საქირო იყო, რათაც არ უნდა დასჯდომოდა, 2000 მშვიერი კაცის გამოკვება: ვალდებულ პლანს დილაზე ისინი არ უნდა დაენახა ქუჩაში მსხლამარე; თუ დილამდის მოიშორებდა როგორმე, ისინი გაჭირბოდნენ ცუდი სიზმარივით, რომელსაც განთიადი სპობს და ანადგურებს.



აჯანყებულებმა ენდარმებს იარაღი აპყარეს.

ორი მეთვალყურის თანხლებით გარსონემ ჩამოუარა პურის საცობებს, რომელთაც უბრძანა აჯანყებულთათვის დაერიგებინათ პური, რაც კი ჰქონდათ.

ღამის პირველ სააზზე სამიათსი კაცი მიწაზე ისხდა და პურს შეექცეოდა.

ბაზრის და რატუშის მოედნები ვეება სასაღილოებდ გადაიქცა.

მიუხედავად ძლიერი სიცივისა, ბრბო მზიარული იყო, ცალკე ჯგუფები კარგად მოსწანდა ნათელ ფონზე.

მშვიერი ლატანი ერთმანეთს ოხუნჯავდნენ, ესროდნენ, თავის ნარგებ წილს პურს სკამდენ და თან დაბუხულ ხელებს უზერავდნენ. მეზობელი ქუჩებიდან მზიარული სიცილი და ყრუ ხმაური მოისმოდა. იქ, სახლების დირებზე, ვიღაც შავი და წარჩინებული პირები ისხდნენ.

ცნობისმოყვარეობა შიშზე უფრო ძლიერი იყო, და ამიტომ ფანჯრებიდან ქალები იყურებოდნენ, აბრეშუმის სახვევებიანი; უყურებდნენ, როგორ სკამდენ ეს საშინელი აჯანყებულები, ეს სისხლის მწველები, რომლებიც სათითაოდ მიდიოდნენ წყალსა დენთან და მუქით სვამდნენ წყალს.

რატუშასთან ერთად ენდარმების ყახარმებიც დაიკავეს, რომელიც ბაზრისკენ მიმავალ კანკლანის ქუჩაზე იყო, იქვე, ორ ნაბიჯზე.

ენდარმებს ლოგინში მოასწრეს და რამდენიმე წამში იარაღი აპყარეს. ბრბომ მიეტა და სილვერიც იქით გაიტაცა. მიეტა, ეს პატარა ბევში, დროშინად კედლისკენ მიჰყუნეს, სილვერი კი ხსებთან ერთად ყახარმაში შევიდა და აშხანაგებს ენდარმების იარაღის აყრაში შეელოდა. როცა ენდარმებმა თოფებს დაავლეს ხელი, ბრბოს გაცაცებით გაფთვრებული და დამთვრალი სილვერი ერთს ჯოშარდ ენდარმს, რანგადს, დაეტყა და რამდენსამე წამს ებრძოდა: სიკვირცხლემში აჯობა და ენდარმს კარბინი გამოსტაცა. ამ დროს თოფის ტუჩი მოხვდა რანდავს სახეში და მარჯვენა თვალი ამოსთხარა. სისხლი სილვერს მიესხა ხელებზე და ის იმ წამსვე გაეარდა გარეთ.

— დაჭრილი ხარ? — ჰკითხა მიეტამ.

— არა, არა, — უპასუხა მან ყრუ ხმით. — არა, მე ეს-ეს არის ენდარმი მოკალი.

— მოკვდა?

— არ ვიცი, მთელი სახე სისხლით აქვს მოცრილი. წამოდი ჩქარა.

და მან ქალი წაიყვანა. ბაზართან რომ მივიდნენ, დასვა სკამზე და იქ მოკვდა დაავალა. ის ისევ თავის ხელებს დაპყურებდა და რაღაცას ბუტბუტებდა. მიეტა მიუხვდა, ბოლოს, მის ნაწყევტ-ნაწყევტ სიტყვებს, რომ წასვლის წინ ის ბებიას უნდა გამოეთხოვოს.

— წაიღე, — უთხრა მიეტამ. — ნუ სწუხარ ჩემზე. ხელები დაიბანე.

სილვერი აჩქარებული ნაბიჯით წაიდა, შადრევანს გვერდზე გაუარა, მაგრამ ხელების დაბანა ვერ მოიფიქრა. როგორც კი რანგადის თბილი სისხლი იგრძნო ტანზე, მას აზრად მოუვიდა, დეიდა დიდოსთან გაქცეულიყო და ჰის წყლით დაებანა ხელები პატარა ეზოში.

¹ ფრანგული მილი უდრის 4 ვერსს, ანუ 4 1/3 კილომეტრს.



დალილი მივარდა.

ღვიდა დიღო ჯერ არ დაწოლილიყო და ეს სხვა დროს გააკვირვებდა მის, მაგრამ ახლა ევრკი შეამჩნია ძია პიერ რუგონი, რომელიც კუთხეში ძველ სკიურზე იჯდა. სიღვერმა არ მოუცადა საწყალი დედაბრის კითხვებს.

— ბებიკო, — სწრაფად უთხრა მან, — მაპატიეთ. მე სხვებს მივდექ. . . მკონი ჟანდარმი მოვკალი

— შენ ჟანდარმი მოჰკალი! — უყნაურო ხშით გამიერა ღვიდა დიღომ, თან თვლები გაუბრწყინდა და წითელ ლაქებს მიაჩრდა. ღვიდა ბუბრისკენ მიბრუნდა.

— შენ თოფა წავლია? რისთვის გესაქიროებოდა ის შენ? შენ ამ ყარაბინით მოჰკალ ჟანდარმი? — ჰკითხა დეიღამ.

უეჭველია, სიღვერმა ვერ გივიგო, ან ცუდად მიუხვდა დეიღას.

— ჰო, — უპასუხა მან — წაველ, ხელებს დავიბან.

რომ დაბრუნდა, მხოლოდ მაშინ შეამჩნია ძია. პიერმა ყველაფერი გივიგონა და ფერი წაუვიდა. ფელისიტე მართალია, ფიქრობდა პიერი: ოჯახს ესიაოვნებოდა მისი სახელის გატეხა. აი, ახალც ერთ-ერთმა მისმა დისწულმა ჟანდარმი მოჰკალ! იგი თავის დღეში ვერ მიიღებს გადასახადების ამკრეფის თანამდებობას, თუ არ გადააფიქრებია ამ გადაბრუნულს აჯანყებულებთან წისვლა. ამიტომ კარებში ჩადგა პიერი და გადასწყიტა არ გაეშვა.

— ყური მიგდეთ, — უთხრა მან ვაკირებულ სიღვერს, — მე უფროსი ვარ ოჯახისა და გიკრძალავთ სახლის დატოვებას. საქმე ჩემსა და თქვენს სახელს ეხება. ხვალ დაგეხმარებით და ვეცდები სახლდარგარეთ გაგაპაროთ.

სიღვერმა მხრები შეიშმულა.

— გამიშვით, — წყნარად უპასუხა მან.

— მე ჯაშუში არა ვარ და არ ვაგცემთ, და რწმუნებელი იყავით.

მაგრამ, რადგანაც რუგონმა კიდევ ოჯახის სახელზე დაიწყო ლაპარაკი, კბუტკმა უპასუხა:

— განა მე თქვენს ოჯახს ვეკუთვნი? თქვენ ყოველთვის მიმუქრებოდით. . . თქვენ აქ შიშმა მოგაცივანათ, რადგანაც იცით, რომ განკითხვის დღე დადგა. მის გამიშვით! მე არ ვიშალები, არამედ ჩემს მოვალეობას ვასრულებ.

რუგონი ადგილიდან არ დაიძრა და დიღომ, რომელიც აქამდის ალტაცებით უსმენდა სიღვერს, თავისი გამხდარი ხელი წაავლო ხელზე შეიღს.

— გაუშვი, პიერ, — უთხრა მან, — ბავში უნდა წაიღეს.

ახალგაზრდა კაცმა ხელი ჰკრა ძიას და გარეთ გავიარდა. რუგონმა მაგრად ჩაეკტა კარი და მრისხანე ხმით უთხრა დეიღას:

— თუ მას უბედურება რამ შეემთხვა, თქვენი ბრალი იქნება. . . თქვენ მოხუცებული ხართ და უგონო, არ გეყურებთ, რაც ახლა თქვენ ჩაიღინეთ.

ამსობაში სიღვერმა ბზარს მიაღწია.

დილის ათი საათი იქნებოდა. სიცივემ იმდენად იმატა, რომ რესპუბლიკელები ძლივს იღვენ ფეხზე და მოედანზე ვარჯიშობდნენ ვასათობად.

ბოლოს უფროსებმა წასვლის ნიშანი მისცეს.



მე უფროსი ვარ ოჯახისა და გიკრძალავთ სახლის დატოვებას, — უთხრა ძიამ სიღვერს.

რაზმი დაეწყო. ტყვეები შუაში მოიქციეს: გარსონესა და მიიორ სიკარდოს გარდა აჯანყებულებმა პიროტიკ დაატუსაღეს და თან მიჰყავდათ; აგრეთვე ხარჯების ამკრეფი და რამდენიმე სხვა მოხელე. აჯანყებულთ კარგად ესმოდათ, რომ ვერ შეიჩინდნენ რეპტიკონურ პლასანს და ამიტომ იქ დემოკრატიული კომიტეტიც კი არ დაუარსებიათ, როგორც სხვა ქალაქებში. რაზმი სოვერის მოედანზე ჩავიდა და დიდი ალყაფის კარით გავიდა, უკან კი კარიგული და მღუმელი ქუჩები დარჩა, რომელზედაც მან გაიარა გრიგალივით. შორს, წინ, მთვარით განათებული გზა იყო.

მიეტა მამაცად მიდიოდა წინ, მაგრად ეჭირა ხელში წითელი დროშა, არ უჩიოდა სიცივეს, რომელზედაც თითქმის გაულურჯა.



გატაცებულნი მოზღვავებული ბრბოთი, მიეტა და სიღვერი შეუსვენებლივ მიდიოდნენ; განთიადზე ახალგაზრდა ქალი ძლიერ დიდილა. იგი აჩქარებული ნაბიჯით მიდიოდა და ძლივს მისდევდა გარს შემოხვეულ კაცებს.

თავმოყვარეობა ნებას არ აძლევდა ჩივილი და ეწყო. ისიც კი ვერ მოენელებია, როცა გამოტყდა, რომ მამაკაცივით ღონიერი არ იყო. სიღვერმა მოსამარებლად ხელი შეაშველა, რა დინახა, რომ დროშა ძლივს მიჰქონდა მიეტას გაყინული ხელებით, მაგრამ მიეტა გაუჯავრდა და გზას განაგრძობდა; ნება მისცა მხოლოდ ოდნავ შეხებოდა დროშას.

მიეტას გირბული გამომეტყველება ჰქონდა და როცა კი სიღვერი ნახად და წუხილით შეხედავდა, გაულინებდა.

როცა მივარე მიიძალა ღრუბლებში, ქალი აღარ სჩანდა სიბნელებში. სიღვერი გრძნობდა, რომ იგი უფრო და უფრო ძლიერ ეყრდნობოდა მას ხელს. იგი იძულებული იყო თვით აეღო ხელში დროშა და მიეტასთვის კი წელზე ხელი მოეხვია, რადგანაც ის ძლივს იღგა ფეხზე.

— ძლიერ დაილაღე, ჩემო საბარალო მიეტა? — ჰკითხა სიღვერმა.

- მო, ოდნავ, — უპასუხა მან სუსტი ხმით.
- ხომ არ გინდა დასვენება?

ქალმა არაფერი უპასუხა; მაგრამ სიღვერი მიხედა, რომ იგი თანხმდებოდა. მაშინ მან ერთ-ერთ აჯანყებულთაგანს გადასცა დროშა და გამოვიდა რიგებიდან. მიეტა თითქმის ხელით მიჰყავდა. ქალი სუსტად ეწინააღმდეგებოდა, რცხვენოდა თავისი სიყმაწვილისა. სიღვერმა იგი დაამშვიდა მით, რომ დაარწმუნა, მოკლე გზა ვიცო, შეგვიძლია მთელი საათი დავისვენოთ და მაინც ორშერში აჯანყებულებთან ერთად მივიდეთო.

დაახლოებით დღის 6 საათი იყო. ვიორნადან თხელი ნისლი ამოდიოდა. ღამე უფრო ბნელი მოსჩანდა. ახალგაზრდები დიდი წვალებით ავიდნენ ფერდობზე და კლდეზე ჩამოსხდნენ. პატარა არმიის ყრუ ხმაური მიწყდა, მხოლოდ ორი ზარის ხმა იმყოფდა სიერცემში.

სიღვერი და მიეტა სირბილისგან შეთბუნ, სიცივეს აღარ გრძნობდნენ. გაჩუმებული იყვნენ, ზარის ხმას უგდებდნენ ყურს. ერთმანეთისაკენ ვერ არჩევდნენ სიბნელებში. მიეტა შიშმა აიტანა და ხელი წაავლო სიღვერს.

იმ გატაცების შემდეგ, რომელმაც რამდენიმე წამი საათი გასტანა, ამ შეჩერებას და განმარტოვებას შეაკრთო ისინი: თითქმის მოხეტქებულ ზღვის ტალღას გადმოეგდოს ისინი ნაპირზე და უკანვე გაბრუნებულიყოს.

- შენ არ მიწყობები? — ჰკითხა ბოლოს ქალმა. — მე ხომ ყოჩაღად მოვიდიოდი მთელ ღამეს; მაგრამ ისინი ისე გაბრუნდნენ, რომ სუნთქვა მეკვროდა.
- რატომ უნდა გიწყობებოდე! — უპასუხა ქაბუემი.



ქალმა სისუსტე იგრძნო და ჩაეძინა.

— არ ვიცი. მე შენსავით დიდი ნაბიჯების გადაღმა მინდა. შენ იქნებ ფიქრობ, რომ მე ჯერ კიდევ ბავში ვარ.

სიღვერმა გაიღიმა, მიეტა მიუხედა. ქალმა მტკიცე კილოთი განავრძო:

- ყოველთვის ბავშვივით უნდა მომეპყრო? — გაჩუმდნენ.

ქალმა სისუსტე იგრძნო და ჩაეძინა. სიღვერმა ფართე წითელ წამოსასხამში გამოახვია. სიცივეს აღარ გრძნობდნენ. როცა სუნთქვაზე შეატყო, რომ მიეტას ჩაეძინა, სიღვერს მეტად გაეხარდა: ეს დასვენება საშუალებას მისცემდა მათ გზა განეგრძათ და ამიტომ გადასწყვიტა, ერთი საათი მაინც მოესვენებინა მიეტა.

ცა ისევ შავი იყო; მხოლოდ აღმოსავლეთით სჩანდა მოთეთრო ზოლი, რომელიც დღის მოახლოვებას მოასწავებდა.

ე. წილა.

(განგრძობა იქნება).



„მ ა ი ნ ც ბ რ უ ნ ა ვ ს“

1.

2

როდესაც სოფლის მასწავლებელი ალექსანდრე ივანეს ძე შევიდა კლასში, ბიჭები და გოგონები ვარს შემოეხვივნენ ხმაილალი სიცილით. მხოლოდ ერთი ბავშვი იღდა ფანჯარასთან და პირქუშად იხედებოდა მიწისკენ. ალექსანდრე ივანეს ძემ ვერაფერი ვერ გაიგონა ხმაურობასა და აურზაურში.

— ჩემად, ბავშვებო, რიგრიგობით ილაპარაკეთ, არაფერი მესმის.

როდესაც სიცილა და ლაპარაკი მიწყნარდა, ჯგუფიდან გამოვიდა ერთი პატარა მოწაფე.

— სთქვი, კოლა, რაშია საქმე!

— აი, ჩვენ ვდაობდით, ალექსანდრე ივანეს ძე, მიწის და მზის შესახებ. გახსოვთ, თქვენ რომ მოგვი-თხრობდით?

— მერე?

— ჩვენ სულ ვამბობთ, რომ დედამიწა ბრუნავს მზის ირგვლივ, პეტრას კი არა სჯერა, მისი აზრით, მზე მიძრაობს მიწას ირგვლივ.

ბავშვებს კვლავ საცილო აუტყდათ და თავმო-წონედ გაიხედეს პეტრასკენ.

— ეს არც ისე სსააკილოა, — შენიშნა ალექსანდრე ივანეს ძემ. პეტრია თქვენზე უფრო გვიან შემოვიდა სკოლაში. იცით, ბავშვებო, იყო დრო, როდესაც პეტრას აზრი აღიარებული იყო ქვეშაირთებად, და თქვენი აზრი — საბედისწერო სიტყუედ.

— ვარია?

— როდის იყო ეს?

— ნუთუ მართალია.

— სამასი წლის წინეთ რომ გეთქვათ, დედამიწა ბრუნავს მზის ირგვლივო, თქვენ, შეიძლება, სიკვდილით დაგსჯიდნენ.

ბავშვები გაოცდნენ. ვაისმა გაკვირვების ხმები.

— დიახ, ბავშვებო, სამწუხაროდ, ეს ასეა. ყოველ შემთხვევაში ის ადამიანი, რომელმაც პირველად დაამტკიცა, რომ დედამიწა ბრუნავს მზის ირგვლივ, ძლივს გადაურჩა ჯოკონზე დაწვას.

— ალექსანდრე ივანეს ძე, მოგვიყვით — თხოვდენ ბავშვები.

— მაშ კარგი. დასხედით ადგილებზე და მი-სმინეთ.

და მასწავლებელმა დაიწყო მოყოლა.

ეს ხდებოდა სამასი წლის წინეთ იტალიაში. დედაქალაქ რომს ოდნავ გადაჰყვინდა რიგრიკი. მდიდრულად მორთულ ოთახში, ფანჯარასთან, მაღალსავარძელში იჯდა გამხდარი მოხუცი ძვირფას მღვდელ-სამოსელში, მგლოტ თავზე წითელი ქუდი.

მისი სახე იყო ყვითელი და უსიცოცხლოა, თვალები — ნახევრად დახუჭული და იატაკისკენ დაშე-ბული.

მის წინ სავარძლად მანძილზე იღდა ჯერ კიდევ ახალგაზრდა ყმაწვილი ბერის, ტანსაცმელში დაწემა-კურად აცეცედა თვალებს.



ეს ზომ მწვალელობაა, ვინ გაბედა ამ წინის დაბეჭდა!

ისინი ორივენი იყვნენ საიდუმლო პოლიციის წევრები, რომელსაც ეწოდებოდა ინკვიზიცია; მის თვალყურით უნდა ედევნებია იმისთვის, რომ არაფის არ გამოეთქვა რომის ეკლესიის საწინააღმდეგო აზრები; იმათ, ვინც გამოსტუმვდა ასეთ შეხედულებებს, იჭერდენ და ასამართლებდენ.

— თქვენ ჩემთან მოხსენებებისა თვის მოლიხართ? — ჭკითხა თვალმდარბილი მოხუცმა.

— დიახ, წინდალა მამიო.

— შე ვისუნენ. რა ამბავია?

— წინდალა მამიო, აქამდის ყველა ქრისტიანებს წამდათ, რომ დედამიწა დგას უძრავად, და მზე მოძრაობს მის ირგვლივ. ასე ასწავლიდა საბერძნეთის დიდი მეცნიერი პტოლემეოსი. ასე ასწავლის რომის წმინდა ეკლესიაც.

— დიახ, — შეაწყვეტინა ბერს მოუთმენლად მოხუცმა, — ვის შეაქვს ეჭვი ამაში?



— წმინდაო მამო, შეხედეთ ამ წიგნს.

ამ სიტყვებით ბერმა მიაწოდა მოხუცს პატარა წიგნი ტყავის ყდაში.

— ამაში, — განაგრძო ზან, არის დამტკიცებული საწინააღმდეგო, სახელდობრ, რომ მიწა ბრუნავს მზის ირგვლივ.

მოხუცმა უნებმიედ წამოიწია სავარძლიდან. თვალზე ბოროტი ცეცხლით გაუბრწყინდა.

— ეს ხომ მწვალებლობაა, — წამოიძახა მან. — ვინ გაბედა ამ წიგნის დაბეჭდვა!

ბერი სდუმდა.

— მიწა ბრუნავს? ხა, ხა, ხა, ხა! — გესლინად გადაიხარხარა მოხუცმა. დედამიწა რომ მოქრაობდეს, ვის უნდა მოჰყავდეს ის მოძრაობაში? რომელიმე ანგელოზს, უთუოდ. თუ ეს ანგელოზი არის მიწის ზედაპირზე, ჩვენ იმას დავინახავთ, მიწის სიღრმეში დაუშვებელია მისი ყოფნა, იმიტომ, რომ, რომის ეკლესიის სწავლით, იქ მხოლოდ ბოროტი დემონები იმყოფებიან. მე გეკითხებით; ვინ გაბედა ამ კანდიდის წიგნის დაბეჭდვა.

— გალილეიმ, გალილეიმ, წმინდაო მამო.

— როგორ? პაღუს უნივერსიტეტის პროფესორმა?

— დიახ.

— მაგრამ რომ არ მივაქციოთ ყურადღება ამ წიგნს? — უცრეოდ იკითხა მოხუცმა. რისთვის ავტეხით განვში. შეიძლება არავინ არ წაიკითხოს ის?

— სამწუხაროდ, უკვე გვიანაა. მთელი ქვეყანა ლაპარაკობს მისზე. გალილეის ევროპის ყველა კუთხეებიდან აწყდება ხალხი ათასობით, სწავლის მისაღებად. უკვე არავის არ სწამს რომის ეკლესია. მეცნიერება უფრო ძლიერი აღმოჩნდა.

მოხუცმა ისე ფიცხლად წამოიღვა სავარძლიდან, თითქოს გახანჯალდა.

— ამ შემთხვევაში დროა ვიმოქმედოთ, ჩვენ მივცემთ გალილეის პასუხსებებში, ჩვენ ვიძულებთ მას ხელი აიღოს თავის მოძღვრებაზე ჩვენ ვიძულებთ მას აღიაროს, რომ მართალია არა ის, არამედ ეკლესია.

— მაგრამ გალილეიმ თუ არ სთქვა უარი? — ითხოვა ბერმა სულის განაზებით.

მოხუცის თვლებმა ბოროტად და სიძულვილით გაიბრწყინა.

— იმ შემთხვევაში დაუწყებთ მას წამებას ჩვენ მას ვაწყვლებთ, სანამ ის არ გატყდება. თუ ის გაჯიუტდა, დავწვავთ კოკონზე.

— მაგრამ თუ მან უარყო?

— მაშინ ვამცნობთ მთელს ქვეყანას, რომ კემარტიკება მეცნიერებასთან კი არა, არამედ წმინდა

პეტრეს ეკლესიასთანაა. მაშ, შევედგეთ სექსუალურ ინვიტს სანჯაგროში ინკვიზიციის მამებრ. მოგაკვებით.

ბერი მოკრძალებით მიუახლოვდა მოხუცს ლოკვა-კურთხევისთვის, შემდეგ მობრუნდა და ფეხკარგით გამოვიდა ოთახიდან.

მოხუცი მიუახლოვდა ფანჯარას. მისი სახე წინანდლებდა თითქოს მიმჭალი, უსიკოცლო იყო. რომის ქუჩებზე იღვებოდა დღის ხმაურობა.

— ერთიც ენახოთ და მართლაც ბრუნავს? — გაიფიქრა მან, მაგრამ იმ წამსვე უკუვაგლო ფიქრი, როგორც ცდუნება. კიდევაც რომ ეს ასე იყოს, ჩვენ მაინც ვერ შევეუროდებოთ ამ აზრს. თუ მართალია გალილეი, რომის ეკლესიის ბატონობას წირვა გააშუღვია. არავინ არ დაგვიკერებს. ჩვენ ავუკრძალავთ დედამიწას იბრუნოს მზის ირგვლივ და ვისინი ჩვენს ძლიერებას.

და მოხუცი ამაყად გაემართა დასასვენებელი ოთახებისკენ, რომ მომზადებულიყო თავხედი მეცნიერის გასაპართლებისთვის.

3.

სწორედ იმ დროს, როდესაც რომში ადგილი ჰქონდა ამ საუბარს, გალილეი იჯდა თავის საუშუაო ოთახში და არაერთი იქვენი არ აწუხებდა.

ეს იყო სამოცდაათი წლის მოხუცი, სახის გონიერი გამოძეტვლებით და ალერსიანი ღიმილით.

ის ისვენებდა დღიური მუშაობის შედეგ მის წინ იჯდა მისი მფარველი მდიდარი და წარჩინებული სალიოტი.

— მთელი ქალაქი ლაპარაკობს თქვენს აღმოჩენაზე, ძვირფასო მასწავლებლო, — დაიწყო მან, — სულ მხოლოდდა ამას იმეორებენ: „დედამიწა ბრუნავს, დედამიწა ბრუნავს“.

ბედნიერმა ღიმილმა გაასხივოსნა მეცნიერის ნაკიანი სახე. ის აღდა და მივიდა ფანჯარასთან. იქ მალაღობ ხის სამეფოზე იდგა ქოჯგრი. გალილეიმ დაალო მას თავისი ხელი და სთქვა:

— აი, მე რომ ვერ მომეხერხებია ამ მანქანის გამოგონება, ჩვენ ახლაც ბრმა ვიქნებოდით, ახლაც არაფერი გვეცოდნებოდა ცის შესახებ, ადამიანის თვალი იმდენად უძლურია.

— როგორ გამოგონებთ ქოჯგრი? — სულ ადვილად. მიღის ხერხელში ზემოთ და ქვემოთ ჩავდგი ორი ამოხნეკილი და ორი ჩახნეკილი შუშა და ამგვარად ადამიანის მხედველობა გავადიდებ ჯერ ოთხჯერ, შემდეგ ოცდაათჯერ და, უეცრად, მთელი ზეცა გამოჩნდა, თ-თქოს ის ახლო



ყოფილიყო, ჩვენს თავზე. იქ, სადაც შეუიარაღებელი თვალთ შეიძლება რვა ვარსკლავი შევაშინოთ, მე ოთხმოცს ვხედავდი.

— და ბევრი სასწაული აღმოჩნით ცაზე?

— დიახ. შევხედე ჭოგრის საშუალებით მთვარეს. თქვენ იცით, როგორი უაზრო წარმოდგენა არსებობდა ჩვენში მთვარის შესახებ?

სალივატიმ გაიცინა.

— როგორ არა. ერთი ამბობს, რომ მთვარე არის რამოდენიმე საკისი შეერთება, რომელნიც უკაუქცევენ მზის სხივებს, სხვები ამტკიცებენ, რომ იქ დიდი ქალაქებია.

— ეს ყველაფერი ბოღვია, — შეაწყვეტინა გალილიემ. ჩემი ჭოგრი სულ სხვას ამბობს, და ის ჩვენს ჭოგრზე უფრო ხედავს. მთვარე — ეს ისეთივე ვარსკლავია, როგორც ჩვენი დედამიწა, მთა და ბარით და ზღვებით. მხოლოდ იქ არ არის ცხოვრება და ყველაფერს ძინავე ღრბა ძილით. მაგრამ, საფიქრებელია, რომ ოდესმე იქ ცხოვრობდნენ ცხოველები და, შეიძლება, ადამიანებიც მე გამოვიკვლიე მთების სიმაღლე იმ ჩრდილის მიხედვით, რომელსაც ისინი ისვრიან.

— მითხარით, გალილეე, ირმის ნახტომი მართლაც ქალღმერთის მიერ დაღვრილი რბა?

მეცნიერმა ირონიულად გაიღიმა.

— თუ თქვენ ირმის ნახტოს შეხედავთ ჭოგრით, დაინახავთ, რომ ის შედგება უამრავი პატარა ვარსკლავისაგან. მაგრამ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩენა, რომელიც მე მოვახდინე...

— რა აღმოჩენა ეს? — ცნობისმოყვარეობით იკიპხა სალივატიმ.

— მისმინეთ. ერთხელ დამით ვუყურებდი ჭოგრით ვარსკლავი იუპიტერს. უფრო მეტი შევაშინე მის ახლოს ოთხი სხვა ვარსკლავი. აქამდის მათ შესახებ არაფერი იცოდნენ. შემდეგ დამეგზოვი ამ ვარსკლავთა მდგომარეობა გამოიკვალა და გადაწყვიტე, რომ ეს პატარა ვარსკლავები არიან მთვარეები, რომელნიც ბრუნდვენ იუპიტერის ირგვლივ. ამგვარადვე მოძრაობს ჩვენი დედამიწა და ჩვენი მთვარეც მზის ირგვლივ.

— ბევრი გააკეთეთ თქვენ, გალილეე, უმეტეს რგების გასაჩივებლად და კიდევ ბევრ მნიშვნელოვან რამეს აღმოავიჩინეს თქვენი ჭოგრი, — სთქვა აღტაცებულმა სალივატომ.

მეცნიერი ჩაფიქრდა.

— ჩემი ჭოგრი არ არის ყოვლის შემძლე. აი, ვხედავ ყოველ ღამით სატურნის ირგვლივ თითქოს რაღაც რგოდებს, მაგრამ სუსტია ჩემი ჭოგრი და

კარგად ვერ მჩვენებს მაგრამ რა ვუთხრობდი თუ თო მან, — ყველაფერს ერთბაშად ვერ გააკეთებ. შემდეგი თობანი გააუზღობსებენ ჩემს ჭოგრს. ისინი დანახავენ და გაიგებენ იმას, რაც ჩემთვის საიდუმლოებად დარჩა. ამგვარად კაცობრიობა იგლის წინ და თანდათან განთავისუფლდება თავისი შეცდომისაგან, აღმოაჩენს სულ ახალ რამეებს. ყოველგვარი დედნის, ტანჯვის და მსხვერპლის მიუხედავად, მეცნიერება მაინც გაიმარჯვებს.



მე რომ ვერ მომეხებრებოდა ამ მანქანის გამოგონება, ჩვენ ახლაც ბრმა ვიქნებოდითო.

ამ დროს შემოსიმა კაცუნი კარზე, რომელიც ქუჩაში გაიღოდა.

გალილეე და მისი მეგობარი შეკრთნენ.

— ჭინ უნდა იყოს ასე უღროოდ, — სთქვა მეცნიერმა.

— წავალ, ნახავ.

ამ სიტყვებით სალივატი გვიდა. ისმოდა, როგორ ახლდა ის კარს და ვიდაცასთან ლაპარაკობდა. უტხო კაცი ბრძანების ხმით ლაპარაკობდა. რამოდენიმე წაშის შემდეგ ოთახში დაბრუნდა სალივატი, ფერწასული და აღელვებული. ხელში ეჭირა კონვერტი. გალილეის ოღნავ ეცვალა ფერი და სწრაფად გახსნა ის.

— იწვიხიციის მამები მაძლევენ მე პასუხის გებაში, — მიუბრუნდა ის სალივატის. — მთ უნდათ მაიძულონ, რომ უარყო ქეშპარტება. მთ უნდათ მოკვლა მეცნიერების, თავისუფალი აზრის და თა-



ვისუფალი კვლევა-ძიების. ისინი მოითხოვენ ჩემგან, გულახდლილად განვახსნალო, რომ ყველა ჩემი აღმოჩენები სიტრუვა, რომ ღვდამიწა უძრავად სდგას მსოფლიო სივრცის ცენტრში.

— და როგორ ვასუსხ ვასცემთ თქვენ მათ ?

— მე მათ ვეტყვი: ის მაინც ბრუნავს! ამ სიტყვებით გალილეი მშვიდად გავიდა წინა ოთახში, სადაც მას უყლიდა ინკვიზიციის მიერ გამოგზავნილი პირი.

4.

როდესაც გალილეი შევიდა სასამართლოს ნახევრად ბნელ დარბაზში, მან დაინახა გრძელ მაგიდაზე ათი კარდინალი წითელი ქულებით. მათი სახეები მოღუშული და ავი იყო. მაგიდაზე ვერცხლის მაღალ შანდლებში მკრთალად ბუუტავდა რამოდენიმე სანთელი და იღვა საღეთო წერილი ძვირფას ყლაში.

ნახევარი საათის შემდეგ გალილეი ^{გამოვიყვანი} და სიღულლო ინკვიზიციის წინ დააყენა. ძნელი იყო მისი ცნობა. ფეხებს ძლივს მოათრევდა. სახე დაღრეჯილი ატანილი წიაღებისგან. მას ძლივს ედგა სული. წამებამ მოსტეხა ისედაც უძლიერი მოხუცი. მას არ შეეძლო მეტი ბრძოლა. ის უფიჭრო გულგრილობამ. მისი თვალები საესე იყო მწუხარებით. მოხუცი ნაღვლობდა მხოლოდ ერთზე: რომ ის არ იყო ახალგაზრდა. ძალ-ღონე რომ ჰქონოდა, უფრო საშინელ წამებებსაც აიტანდა.

— თქვენ ხედავთ—მიუბრუნდა მას მთავარი ინკვიზიტორი ბოროტი სიხარულით—ეკლესია მაინც მეცნიერებაზე უფრო ძლიერია.

— დაბ, —სთქვა გალილეიმ, — მაგრამ არა იმითი, რომ ის უფრო გონიერია, არამედ იმით, რომ ის უფრო უჯულოა.

— ახლა თქვენ, ვიმედოვნებთ, ხელს იღებთ თქვენს შეცდომებზე.

გალილეიმ გულგრილად დააქნია თავი. ოჰ, რათ არ არის ის ახალგაზრდა! ოჰ, მას რომ მეტი ძალ-ღონე შეეწევდეს!

მასთან მივიდა ბერი, მოხსნა ზედა სამოსელი და პერანგის ამარა დააჩოქა. მთავარმა ინკვიზიტორმა მიაწოდა მას ქაღალდი და უბედურმა მეცნიერმა მიბნედილი ხმით წაიკითხა:

— მე, გალილეი, გალილეი, სამოცდაათი წლის გალილეი, ფიცს ვდებ, რომ ყოველთვის მშამდა, მწამს და ვიწამებ იმას, რასაც რომის წმინდა ეკლესია აღიარებს ჭეშმარიტებად. მე უარგყოფ ჩემს შეცდომას, თითქმის ღვდამიწა მოძრაობს მზის ირგვლივ. ფიცს ვდებ, რომ არასოდეს ამის მსგავსს არაფერს არ გავიმეორებ.

გალილეი ძლივს ადგა, სახეზე წამამსკდარი ოფლი მოიწმინდა და ღონეშიბილი დაჯდა სკამზე; ბერმა დაუწყაო სამოსელის ჩაცმევა.

— წაიდ ახლა მშვიდობით, —უთხრა მას მთავარმა ინკვიზიტორმა.

— სიკვდილის წამამდე გაღვინებთ თელყურს. თუ თქვენ კიდევ გაბედავთ ჩვენს წინააღმდეგ გამოცვლას, მაშინ უკვე ვერავინ და ვერაფერი ვერ გიხსნისთ კოკონზე დაწვიანს.

გალილეი გავიდა სასამართლოს დარბაზიდან. ის ძლივს მიათრევდა ფეხს.

შესავალიან გალილეის შეხვედენ მისი მოწვევები და თავყანისმცემენი. ისინი ძალიან ბევრი იყვნენ.

წამებისგან ქანცილეთული მასწავლებლის დანახვაზე ყველამ, როგორც ერთმა კაცმა, მოხსნა ქული და ჰაერში გაისმა ხმადალი ძახილი:

ღვდამიწა მაინც ბრუნავს!
ასეთი სიტყვებით დაასრულა აღექსანდრე ივანეს ძემ თავისი მოთხრობა.



თუქიმდე გაბედავთ ჩვენს წინააღმდეგ გამოცვლას, ვერაფერი ვერ გიხსნისთ.

მყუდროება დაარღვია მთავარმა ინკვიზიტორმა, გახმდარმა, მელოტმა მოხუცმა.

— ეს თქვენი წიგნია?—იკითხა მან.

— დაბ.

— და თქვენ იცით, რომ წმინდა რომის ეკლესია სწორედ წინააღმდეგს ასწავლის?

— დაბ.

— და თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ ჭეშმარიტება თქვენს მხარეზეა?

— დაბ.

— და ამგვარად თქვენ არ გაქვთ განზრახული უარპყით თქვენი მტყიცება.

— არა.

მოხუცმა თავით ანიწა განზე მდგომ ჯალათს. ის მიუხზლოვდა გალილეის, შეუკრა ხელები და მყოფე ოთახში გაიყვანა.

პიონერ-კომკავშირელი.

„პიონერ-ორგანიზაცია კომკავშირის რეზერვია“. ამას გაიგებთ ყველა კომკავშირელი და პიონერისგან, მაგრამ ძალიან ხშირად პიონერები არ უფიქრდებიან, თუ რას ნიშნავს ეს. ეს ნიშნავს, რომ საუკეთესო პიონერები, მუშის და ღირსი და საშუალო გლეხის შვილები, პიონერ-ორგანიზაციიდან გადადიან კომკავშირში და განაგრძობენ მუშაობას. კომკავშირელად გახდომა ადვილი საქმე არ არის, ყველა ახალგაზრდა ვერ გახდება კომკავშირელი: კომკავშირელი გახდება ის, ვინც ღირსი არის ამის, ესე იგი, ვინც ვატყუებელია მუშათა კლასის ბრძოლით, ახალი საზოგადოების შენებით და ამას კი ანხორციელებს ყოველდღიური პრაქტიკული მუშაობით. ლენინური კომკავშირის წევრობა ძვირფასი და საყვარელია, ამისკენ მიილტვის ყოველი მშრომელი ახალგაზრდა. პიონერებიც მშრომელთა ბავშვები არიან. ისინიც მიილტვიან, რომ გახდენ ლენინური კომკავშირის წევრები.

როგორ ხდება პიონერ-ორგანიზაციიდან გადასვლა კომკავშირში? რა თქმა უნდა, აქ პიონერები ემორჩილებიან იმ საერთო წესს, რომელიც არსებობს კომკავშირში მიღების დროს. მაგრამ ჩვენ აქ გვიანტერესებს საქმის სხვა მხარე: ბევრი პიონერი იცდის, თუ როდის გადაირიცხავს მას კოლექტივი კომკავშირში, თვითონ კი არის გაჭერებული, არ შეაქვს არავითარი განცხადება კომკავშირის უჯრედში მიღების შესახებ. ასე მოქცევა არაფორად არ ვარგა. პიონერი, გახდება რა თითხმეტი წლის, უნდა ცდილობდეს გადაირიცხოს კომკავშირში, ამისთვის კი უშჯობესია, რომ თვითონ ზრუნავდეს თავის თავზე. მან თავისი ინიციატივი უნდა შესძლოს ამ საკითხის მოგვარება.

როდესაც პიონერი კომკავშირელი ხდება, ის ხშირად თითქოს იცვლება, ხდება მედიდური, იწყებს ყუყურობას, იწყებს პაპიროსის წევას. ბევრი პიონერი კომკავშირელი არ იცდის კოლექტივში, თუკი მოიცავს, ყოველითვის ეინკოვდება წინამძღოლს, პიონერებთან ამხანაგობას არც კი კადრდება და სხვა, ერთი სიტყვით, ზოგიერთნი სწაიან ისეთ რამეებს, რაც სულ არ შეეფენის არათუ კომკავშირელს, არამედ პიონერსა და ოქტომბრულსაც კი არ ევატეგება. რა მოჰყვება ამას შედეგი? ის, რომ პიონერ-კომკავშირელს არცხავენ როგორც კომკავშირიდან, ისე პიონერ-კოლექტივიდან. რა თქმა უნდა, ასეთი მოვლენა არ არის კარგი. ამას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეოდეს და ვეცადოთ ვამოვისწოროთ ყველა ის ნაკლი, რომელიც გვაქვს.

პიონერმა, რომელიც ირიცხება კომკავშირში, შემდეგი უნდა იცოდეს:

1. პიონერი კომკავშირში გადაირიცხება იმისთვის, რომ ჩადგეს ლენინური ახალგაზრდობის რიგებში, რომელიც იბრძვის სამშობლო ხელისუფლების განსამტკიცებლად, ახალი კომუნისტური ცხოვრების შესაქმნელად. მან უნდა იცოდეს და ახსოვდეს, რომ ამ ამოცანის განხორციელება არ შეიძლება ფუქსავატობით, არამედ საქირაა ენერგიული, ნამდვილი ლენინური მუშაობა. მას უნდა ჰქონდეს შეგნებული, რომ ფუქსავატობა და ყუყურობა კომკავშირელის საქმე არ არის. კომკავშირელი შრომის მოყვარეა. ის იბრძვის კომუნისტების შენებისთვის.

2. როდესაც პიონერი გადაირიცხება კომკავშირში, მან არ უნდა უღალატოს თავის ჩვეულებებს და კანონებს. მავალითა, პიონერი პაპიროსს არ ეწევა. ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ მან პაპიროსი არ უნდა მოსწონს კოლექტივში ყოფნის დროს, — მან ეს მავნე ჩვეულება სავეტებით უნდა მოიშოროს. პიონერმა უნდა იცოდეს, რომ კომკავშირში გადასვლით ის კიდევ უფრო აღრმავებს თავის მუშაობას; მას არ უნდა ახსიათებდეს არავითარი უმსგავსო საქციელი, როგორცაა ლოთობა, ლანძღვა-გინება და სხვა.

3. პიონერ-კომკავშირელმა განსაკუთრებით დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს პიონერ-კოლექტივის მუშაობას. ის 16 წლამდის მუშაობს როგორც კომკავშირის უჯრედში, ისე პიონერ-კოლექტივში. როდესაც პიონერი კომკავშირელი ხდება, ის უკვე მომზადებულია უნდა გრძობდეს თავს. ის უნდა იყოს ერთგობი და ამხანაგ ძალა წინამძღოლის, მონაწილეობას უნდა იღებდეს კოლექტივის ყოველდღიურ მუშაობაში, უნდა აძლიერებდეს კოლექტივში კომკავშირის გავლენას. რა თქმა უნდა, ყველა ამის განხორციელება არ შეიძლება უკვირით. ყველა პიონერის უნდა გრძობდეს თავს პიონერ-კომკავშირელის საუკეთესო ამხანაგად, რომელსაც მათთან საუკეთესო ამხანაგური დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს. პიონერი, პიონერ-კომკავშირელი, შენ გიყურებს როგორც კომკავშირელს, შენგან მოელის გონიერ, სეროზულ მუშაობას, შენგან მოელის დახმარებას, შენგან მოელის სწავლებას ძნელი საქმეების დროს. ყველა ეს იმედები პიონერ-კომკავშირელმა უნდა განაზოლოს, ის უნდა იყოს საუკეთესო მგზობარი, მრჩეველი დანარჩენი პიონერების. პიონერ-კომკავშირელი, შენ აუცილებლად უნდა მუშაობდეს წი-

